ნიანგი

ISSN 0132-6015

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1565). თებერვალი, 1980, ფასი 20 კაპ.



— მგონი, გვეშველა! ახლავე მოვირბენინე განცხადება! ის ადგილი თავისუფლდება, შენთვის რომ მინდოდა!..

თუმცა ჩვენს რესპუბლიკაში უამრავი სამუშაოა, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე შორს მიემგზავრება მშობლიური კუთხიდან, რათა ფული ბლომად ჩაიჯიბოს.

სასტიკი ბრძოლა — ეგრეთწოდებულ მეშაბაშეებს!

ნახ. გ. ლომიძისა

ნიანგს უპასუხებენ

ზუგდიდის **რაიონის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი:**

1979 წლის მე-19 ნომერში სათაურით — შემთხვევა ზუგდიდის № 1 ატელიეში — დბეჭდილ ლექსში მოტანილი ფაქტი სინამდვილეა. წუნი გამოწვეული იყო უხარისხო მასალების მოწოდებით.

მიღებულია ზომები, რომ მსგავსი შემთხვევა არ განმეორდეს.

—:—:—

ფეხსაცმლის **საწარმოო** **გაერთიანება „ისანი“:**

„ნიანგის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნა — „იცით თუ არა თქვენ, რომ?..“, რომელიც შეეხებოდა ჩვენი გაერთიანების ვარკეთილის ფაბრიკა-ფილიალის მიერ უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტს, სწორია.

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოწვეულ იქნა „ხარისხის დღე“. წუნიანი პროდუქციის გამოშვებისათვის დაისაჯნენ მუშები **მ. ახოიანი** და **ტ. ზახურაული.** სასტიკი საყვედური გამოეცხადა წუნმდებელ **ა. იმერლიშვილს,** საყვედურები — ტექნიკური კონტროლის განყოფილების ბრიგადირ **ა. ლაიშევას** და ტექნოლოგ **გ. ფედორცევას,** რომლებმაც სათანადო კონტროლი არ გაუწიეს ტექნოლოგიური პროცესების სწორ შესრულებას.

წუნის აღკვეთისათვის გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებანი.

საშიში ლაბირინთები

ნახ. ნ. მალაგზოლიასი

ალმანზორ თავაძე

ფორმალიზმი

ულტრათანამედროვე **დაავადებაა,** თუმცა ფესვები შორეულ წარსულში აქვს. ფორმალისტის აზრით, ფორმა შინაარსის გამოვლინების კი არ, მისი მიჩქმალვის საშუალებაა, ამიტომაც, დაავადების შემთხვევაში, ფორმა, ესე იგი სიტყვა, მაქსიმალურად შორდება შინაარსს, ე. ი. საქმეს.

დაავადებას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ყალბი ზეიმურობა, დაუდევრობა, უკონტროლობა, პროტექციონიზმი, დოყლაპიობა, მიმტევლობა, წაყრუება...

ავადმყოფობა გარეგნულ კვალს არ ტოვებს, იგი სულის სიღრმეში იბუდებს. დამახასიათებელი ნიშნებია მოჩვენებითობა, ყოყოჩობა, საბუთომანია, ციფრომანია, პედანტიზმი...

ფორმალიზმიც ინფექციური სენია. ინფექციის წყაროს წარმოადგენს სიყალბისკენ მიდრეკილება. მისი ბაცილები, სამწუხაროდ, ბუდობენ ზოგიერთების კაბინეტებში, კანცელარიებში, ყველგან, სადაც ცდილობენ, მხოლოდ წარმატებებზე წერონ და იკითხონ.

ფორმალისტს ქვეყანა ცირკი ჰგონია და, გარდა იმისა, რომ ტაკიმასხარის როლს ასრულებს, კარგად ფლობს ჰიპნოზირებისა და ილუზიონიზმის ხელოვნებას, რაშიც ხელს უწყობენ ბრიყვი უფროსები და „მორჩილი“ ხელქვეითები.

ფორმალისტი კარგად ფლობს თვალთმაქცობის ხელოვნებასაც: როცა ერთ ხელს გართმევს, მეორეთი მიწას გითხრის, პირზე გკოცნის და სულში გაფურთხებს, სიყვარულს გიმტკიცებს და სიძულვილს მალავს, პირში გლოცავს და გულში გაგინებს.

დაავადება დროთა განმავლობაში რთულდება და ავადმყოფი, ე. ი. ფორმალისტი, კარგავს მოვლენების რეალურად შეფასების უნარს და ექცევა ილუზიების ტყვეობაში — რასაც ამბობს, თვითონვე სჯერა.

ფორმალისტზე ალერგიულად მოქმედებს ჩავარდნებსა და წარუმატებლობაზე ლაპარაკი. ამიტომ, თუ თანამდებობაც უწყობს ხელს, კრძალავს ასეთ ლაპარაკს.

ძალიან ადვილია ფორმალისტ უფროსთან მუშაობა: იგი საბუთებს გამადიდებელი შუშით უყურებს, საქმეს კი — ცალი თვალით. თუ რამე სიახლე ნამოაყენე, თავქარიანად გთვლის, ძველი მეთოდების გამოყენებისათვის კი კონსერვატიზმს გწამებს, ამიტომაც იძულებული ხარ, არაფერი გააკეთო.

ფორმალისტი რომანტიკული ბუნებისაა: სასურველს სინამდვილედ მიიჩნევს.

დელიკატურია: უფროსებს ენას არ უბრუნებს.

ჰუმანისტია: არავის ურლვევს სიმშვიდეს.

ავადმყოფობის აღმოსაფხვრელად ჯერ დაავადების საშიშროება უნდა კაგრძნობინოთ ავადმყოფს და თუ ამან არ გაჭრა, შესაბამისი ოპერაცია ჩავუტაროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშაური კაფიები ზოვიერთი სოფლის თემაზე

— რას რა რა ფიქრობ, გივარგი,
ფურნე რო აღარ გვივარგის?

— შენ ფურნეს რასა კითხულობ,
ბედი იკითხე მეფურნის, —
არც სასმელ-საჭმელ აკლია,
არც — ეზო-კარი მეფური!

— ე კლუბის ეზო, ნეტარა,
რად დაემსგავსა ნაკლუბარს?

— მაშ, რა იქნება, მიტირე,
ღორებ სუყველას აქ უბავ!

— ე ჩვენი სოფლის თავკაცი
რად არ მიხედავს გზა-შარას?

—რა ვი, ბევრ რასმე დაგვპირდა,
ალბათ, ნამდვილად გვაჭამა!

— არ მახსნეს, ნეტარ, კიდენა
ი პარიკმახერ არჩილა?

— არა, ყელ კინაღ გამამჭრა,
სამ მანათ დამაყაჭვინა!

— სამ თვეს არ გამოჩენილა
ე გაზის მამტან ისაკა!

— ორ მანეთს ითხოვს ბალონზე,
მაგის მისაცემ ვის აქვა?

— თავის ადგილზე ვერ ვნახე,
ჩვენი ვეტექიმ სად არი?

— შენს ნახვას ის რას დაეძებს,
დუმაცა აქვს და სათალიც!

— სასადილოდან რომ მოხსნეს,
არ წასულაა შაბური?

— კოპგამგეობა მხარს უჭერს, —
მწვადიც უნდა და შამფურიც!..

— ახლა ვიკმაროთ, გივარგი,
აგვემტერება სუყველა!

— მეც ამას ვფიქრობ, ძმობილო,
ცუდ სიზმარ ვნახე წუხელა!..

ჩაიწერა ირაკლი არაბულმა



ნახ. მ. აბაშიძისა

— აი, კლასის დამრიგებელიც ასეთი უნდა! ამისთანას ვერც ერთი მშობელი ვერ გაეკარება არეგიდან!

გოიაევი ვიქტორ შალვას ძე: დაიბადა 1927 წელს, ცხინვალის რაიონის სოფელ არცევში, სახელი გაითქვა, როგორც ნიჭიერმა გამგემ — სულ ახლახან არცევის ხილის მიმღები პუნქტი ზემოგების მიმღებ პუნქტად გადააკეთა და პირველი სიფთაც აიღო.

ცხოვრებაში ნული ვიყო, თუ „ნული“ ვაშლი არ აგირჩიო, ოღონდ ფასიც ნულებით იქნება დამრგვალებულიო, უთხრა გორიდან მალულად ჩამოსულ ალექსანდრე გოგიაშვილს და 1500 კილოგრამ ვაშლში 1400 მანეთი ააშვლიპა.

ახლა კი ნულიანი ჭუჭრუტანიდან „იჭვრიტება და შიშობს, ჩემს „სროკს“ ნულიც არ მიუწერონო.

იანიდი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე: დაიბადა 1955 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბავაში, მუშაობდა იქვე, საყვავილე მეურნეობაში, სახელი გაითქვა, როგორც ყვავილებზე არიების უბადლო შემსრულებელმა.

„ყვავილების სიყვარული ვიცი, ჯერ არავის გული მომიპარავსო“, წაიმღერა ერთ ბნელ ღამეს და აძიუბავას პლანტაციაში შეიპარა. 9000 ცალი ტიტა დაკრიფა (სახელმწიფო ფასი — 2046 მან.), შინ გადამალული 480 ცალისათვის უნდა მიემატებინა და 1380-ცალიანი თაიგული შეეკრა, მაგრამ მის ირგვლივ, ანაზდად, საბედისწერო წრე შეკრეს მილიციის მუშაკებმა.

ვერულიძე ავთანდილ ახმედის ძე: დაიბადა 1950 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. თავი გამოიჩინა „აჭარხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიის საწყობის გამგედ მუშაობის დროს. დიდხანს უკვირდათ მის შემყურე კვირიკელებს: საწყობში აღარაფერი აწყვია და მაინც საწყობი ჰქვიაო და ამიტომ აღარ გაჰკვირვებიათ, როცა რევიზიამ 1284 მანეთი დანაკლისი აღმოუჩინა და გამგის ბედიც სხვანაირად განაგო.

კვიტაია შამილა ბაბუშევიჩის ძე: დაბადებული 1930 წელს, ოჩამჩირეში; **აბუხბაია ზოია ვალერიანის ასული:** დაბადებული 1937 წელს, მცხოვრები გალში; **გურეცკაია ვარვარა ვასილის ასული:** დაბადებული 1932 წელს, გალის რაიონში; **ჩიხლაძე შილა მელიტონის ძე;** დაბადებული 1933 წელს, წყალტუბოს მკვიდრი. მოსკოვის ბაზრის დახლებთან გუნდურად ასრულებდნენ სამშობლოს საგალობელს — „სხვა საქართველო სად არის, სად ნახავთ ასეთ მანდარინს?!“ და თან წინ ოქროსფერი ციტრუსის გორები ედგათ. შეწყობილად მღეროდნენ, მაგრამ საქართველოდან ამ სიმღერის მოსასმენად ჩასული მილიციელების გამოჩენაზე რატომღაც ხმა ჩაუწყდათ.

ხარებავა იური კონსტანტინეს ძე: დაიბადა 1936 წელს, იყო ქ. ცხინვალის სატყეო მეურნეობის ინჟინერი, უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სიმძიმეების აწევაში (აკვრა, ატაცი). სულ ბოლოს კი, „ცხინვალვაჭრობაში“ მუშაობის დროს, ატაცი აღარ გამოუვიდა, სამაგიეროდ დატაცში აჩვენა გადასარევი შედეგი — თვალსა და ხელს შუა 3186 მანეთის სამშენებლო მასალები დაიტაცა.

მიგრიაული რობერტ ალექსანდრეს ძე: დაბადებული 1932 წელს, მცხეთის რაიკოოპერატივის ლიმონათის საამქროს უფროსი. ყველა რეკორდი „დახურა“ — დაიტაცა 2300 ბოთლი ლიმონათი „ტარხუნა“.

მოწონაშვილი რუბენ გერმანეს ძე: დაბადებული 1950 წელს, სამჯერ ნასამართლევი.

გასული წლის 13 ნოემბერს მოწონაშვილს ავტობუსში ქალის ხელჩანთა მოენონა, თანხის რაოდენობა — 133 მანეთი — მილიციაში დადგინდა.

ბუკია მარგალიტა გერასიმეს ასული: დაბადებული 1935 წელს, ცხოვრობს ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვაში და მეზობლებს არ აცლის სულის მოთქმას: ამას წინათაც ერთ მათგანს სახლში შეუვარდა და 350 მანეთის ჭურჭელი დაუმსხვრია.

მაჩაბელი მარიამ ალექსანდრეს ასული: დაიბადა 1936 წელს, მუშაობდა გორის რაიაღმასკომის კეთილმოწყობის კომბინატში ბრიგადირად. სწორედ აქ გაიფურჩქნა მისი ნიჭი. აქაოდა, კეთილმომწყობი ვარო, მფარველი ანგელოზის ფრთები გამოისხა, ვის ავტოინსპექციის მიერ ჩამორთმეული მანქანის მართვის უფლების დაბრუნებას შეპირდა და თანაც სულ მუქთად — 400 მანეთად, ვის — გორში ჩაწერას და მისგანაც ჯილდოდ 300 მანეთი მიიღო, ვის სიხარულით გული აუჩქროლა — ბინას მიგალებინებო და 2500 მანეთი ააფცქვნა. ახალ პასპორტს აგალებინებო, ერთი კიდევ სხვა დაიმედა და 400 მანეთი ჩაიჯიბა.

ახლა ფრთებნაჭრილი ზის კეთილმოუწყობელ გალიაში და სულაც არ გახლავთ გალობის ხასიათზე.

„ნიანგის“ სტუმარია სომხეთის სატირული ჟურნალი „ვოზნი“

მოკლე „გადარიცხვა“



სომხეთის სსრ სატირული ჟურნალი „ვოზნი“ („ზღარბი“) 1954 წლის მარტში დაარსდა. მისი პირველი რედაქტორი იყო გამოჩენილი სომეხი მწერალი **ჰრაჩია ქოჩარი.** 1955 წლიდან კი ჟურნალს ცნობილი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე **გრიგოლ ტერ-გრიგორიანი** რედაქტორობს.

„ვოზნის“ ვეტერანთა თაობას ეკუთვნიან **ლერ კამსარი, აშოტ ფალანჯიანი (აშფალი), ედუარდ ხოჭიკი, სურენ ვაჰუნი** და **ბაბკენ შაუმიანი.**

ჟურნალში თანამშრომლობენ ცნობილი სომეხი მწერლები: **ჰამო საჰიანი, სილვა კაპუტიკიანი, ხერო ხანზადიანი, არშავირ დარბნი, მიქაელ ჰარუთიუნიანი,**

„ვოზნიმ“ აღზარდა ნიჭიერი იუმორისტი მწერლები და მხატვარი-კარიკატურისტები — **გევორქ სტამბოლციანი, ედუარდ სარქისიანი, კარლოს ეღიაზარიანი, ნანსენ მიქაელიანი, ჰაიკ ტერ-ღაზარიანი, ვლადიმერ აბროიანი, ფირდოუსი დარფინიანი, მკრტიჩ კარაპეტიანი.**

ჟურნალში სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი **მარტიროს სარიანი,** სომხეთის სსრ სახალხო მხატვრები — **სერგეი არუტჩიანი, არა ბექარიანი** და **სურენ სტეფანიანი.**

შარშან „ვოზნიმ“ თავისი არსებობის 25 წლისთავი იზეიმა.

მასალები შეკრიბა და სომხურიდან თარგმნა არჩილ დავითიანმა.

სომხური ხალხური იუმორი

— **რამდენი** შვილი გყავს? — ეკითხება ერთი ლენინაკანელი მეორეს.

— ორი.

— მერე, ორი შვილისთვის ინახავ ცოლს?!

* * *

— **ძალიან** ჰყვარებიხარ, ჩემო კარაპეტ, შენს სიდედრს, — უთხრა დედამ შვილს.

— რას ამბობ, დედიჯან?! მე რომ იმას ვუყვარდე, ქალს სხვას მისცემდა!

* * *

ნასადილევს ცოლ-ქმარმა „დურაკობანას“ თამაში გააჩაღა. სამველი სკოლიდან დაბრუნდა და დედ-მამას მოახსენა, ამ საღამოს მშობელთა კრებაა.

— შენ წადი! — უთხრა ცოლმა ქმარს.

— არა! შენ წახვალ! — მიუგო ქმარმა.

მერე დათქვეს, კრებაზე ის წავიდოდა, ვინც „დურაკი“ დარჩებოდა.

* * *

— **თქვენს** პიესაში კონფლიქტი არ ჩანს! — უთხრა რეჟისორმა დრამატურგს.

— თუ არ დადგამთ, კონფლიქტიც გამოჩნდება და სხვა რამეც! — მიუგო დრამატურგმა.

* * *

ცოლ-ქმარს კონცერტზე დააგვიანდათ.

— რას უკრავენ? — შეეკითხა ქმარი გვერდით მჯდომ მეზობელს.

— ჩაიკოვსკის „მესამე სიმფონიას“.

— ხომ გეუბნებოდი, ვიჩქაროთ-მეთქი?! შენი მიზეზით ორ სიმფონიას ვერ მოვუსწარით, — შეუბღვირა ცოლმა ქმარს.

ნ. გართაია

გაღაუდებელი

ამოცანა

დღემდე მეცნიერული შესწავლის მთავარ ობიექტს უფრო საკულტო ხუროთმოძღვრება წარმოადგენდა. ეს ბუნებრივიცაა. აღნიშნულმა ძეგლებმა ხომ ჩვენამდე თითქმის თავიანთი პირვანდელი სახით მოაღწიეს. ხოლო ჩვენთვის საინტერესო საერო ნაგებობათა დიდი ნაწილის კედლები, გამომძიებელთა გაუთავებელი ჩხრეკის გამო, საკმაოდ დაზიანდა. მოგეხსენებათ, ამა თუ იმ ნაგებობათა მფლობელები კედლებში მალავდნენ ფულსა და განძეულობას. რა თქმა უნდა, მათმა ძიებამ დაუკარგა კედლებს პირვანდელი სიფაქიზე და დეკორი.

ამ ტიპის შენობები მეტწილად წარმოადგენენ ორ და სამსართულიან ნაგებობებს, რომელთა პირველი სართული სამეურნეო, და, ნაწილობრივ, საცხოვრებელი დანიშნულებისაა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ, როგორც წესი, აქვთ სარდაფები, სადაც ქვევრებში, ღვინოსთან ერთად, ინახებოდა ფულიც.

აღნიშნულ სახლებში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ზედა სართულებს. ზედა სართული გეგმით უახლოვდება კვადრატს. მის გრძელ კედლებში დატანებულია სარკმლები, თაღოვანი კამარის ნალისებური მოყვანილობით. შენობები აგებულია მაღალხარისხოვანი აგურით. წყობაში გამოყენებულია ქვა.

საცირკო ატრაქციონი მეცხვარეობის ფერმაში

ღამეული გაელვება

მოხდა სასწაული: ერთ ღამეს ბახტიკიანის არსებაში სინდისმა გაიღვიძა; გაიღვიძა რა სათქმელია, ვულკანივით იფეთქა, ლოგინიდან ნამოაგდო, საწერ მაგიდასთან მიიმწყვდია, ხელში კალამი ჩასჩარა და წერად დასვა.

„პატივცემულო ტორქ ფილიპოვიჩ! უკვე ოცდახუთი წელი ვმუშაობ თქვენი სამმართველოს სისტემაში დირექტორად, არც ქება-დიდება მაკლია, არც — სიგელები. ვიცი, მალე თქვენს მოადგილედ გადამიყვანთ, მაგრამ ღირსი ვარ განა?

არა, არა და არა! გულწრფელად ვაცხადებ, რაც მე გამიკეთებია ამ ოცდახუთი წლის მანძილზე, აი, ეს არის: ნაბახუსევზე დამილევია 2.00 ბოთლი „ჯერმუკი“, გამიცვეთია ექვსი სავარძელი, გამომიცვლია შვიდი სახელმწიფო ავტომანქანა, რვა მდივანი, ცხრა ტელეფონის აპარატი, ამოღია 45.000 მანეთი ხელფასი (პრემიების გარდა). თუ გუნებაზე ვიყავი, მივდიოდი სამსახურში, თუ უხასიათოდ — შინ ვიჯექი. სამუშაო საათების მეტი დრო ქალაქგარეთ მაქვს გატარებული, რესტორნებში (კარგი ხაშის გაკეთება იციან გეღარდის გზაზე), სამ მდივანს ჩემგან შეეძინა შვილები: ერთს — გოგონა, ორს — თვალმერცხალა ბიჭები...

რაკიღა სამსახურს თავს ვანებებ, ამასაც გეტყვით: არასოდეს არ გცემდით პატივს, უბრალოდ გელაქუცებოდით, სკამს ვუფრთხილდებოდი და იმიტომ...“

ძილი მოერია, თორემ ვინ იცის, კიდევ რას დაწერდა, კალამი ხელიდან გაუვარდა და როგორც იჯდა მაგიდასთან, ისევე ჩაეძინა.

რომ გამოეღვიძა პირველი, რაც ხელში მოხვდა, თავისი ღამისეული წერილი იყო. რამდენჯერმე გადაიკითხა, საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, მერე სიცილი დაიწყო, ნითელი ფანქარი აიღო და კუთხეში წააწერა: „შე ვირო, შენა! აქედან სად წამიხვალ? გგონია, სხვაგანაც შეგარჩენენ მაგდენ ცოდვებს?“

ვარდგეს საჰაკიანი

„მოქალაქეობრივი ვალი“

იგი მძიმე ნაბიჯებით წამოვიდა წინ, შეთავაზებულ სკამზე დაეშვა, ღრმად ამოისუნთქა და არყისა და ნივრის მძაფრი სუნით აავსო ოთახი.

მინდოდა, ფანჯარა გამომეღო, მაგრამ გადავიფიქრე, ვაითუ, ამით შეურაცხყოფა მივაყენო-მეთქი.

— გამოაღეთ, გამოაღეთ, მეც არ მსიამოვნებს სხვების ნასვამ-ნაჭამის სუნი რომ შემოღიტინებს ცხვირში! ისე ჩვენში დაჩეს და, თუ ხაში ნივრით არ ჭამე და ზედაც ლომის ცრემლები, ანუ არაყი, არ დააყოლე, კაპიკია მისი ფასი...

— მართალია! — დავეთანხმე მე.

— ეჰ, ამხანაგოჯან, ცუდად მიდის საქმე, ქვეყნად სიმართლე აღარ გადის! — ამოიოხრა მან.

მე წავუყრუე.

— ჰეი, გიდი, — განაგრძობდა იგი, — რა დრო დადგა! არც კი კითხულობენ, ქვეყნად სიმართლე რატომ არ გადის?

— რა საქმეზე ხართ მოსული? — შევეკითხე მე და აუდენციას სერიოზული ხასიათი მივეცი.

— ქურდებისა და ყაჩაღების დასჯის საქმეზე! — რიხიანად მომიგო მან.

— სად არიან ეგ ქურდები და ყაჩაღები?!

— ჰრაზდანის სავაჭრო ბაზაში. იქ დეფიციტურ საქონელს ორმაგ ფასებში ყიდიან პირდაპირ საწყობიდან.

— საიდან იცით?

— ათ წელზე მეტ ხანს ვმუშაობდი მაგ ბაზაში.

— ათი წელი ჩუმად იყავით და ახლა ამოიღეთ ხმა?

— დრო არა მქონდა, ყელამდე ვიყავი საქმეში ჩაფლული!... ახლა თავისუფალი ვარ, იქ აღარ ვმუშაობ!..

— რა თანამდებობაზე მუშაობდით?

— საწყობის გამგედ.

სიბრაზისაგან ალმური წამეკიდა, მინდოდა, მეყვირა, მაგრამ მხოლოდ ის შევძელი, რომ სიგარეტი გავაბოლე.

იგი დინჯად წამოდგა კარისაკენ გასწია, გასასვლელში წამით შეჩერდა და ტყვიასავით დამახალა:

— მე სიმართლე გითხარით, ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადე, სხვა თქვენ იცით!..

კარლოს ელიაზარიანი

ნანსენ მიქაელიანი

წკიპურტები

ტაქსი, ძმაო, ალბათ მიტომ
იწოდება ტაქსად,
რომ ფასებზე ტაქსისტებმა
დაგვიწესეს ტაქსა:
აბაზს დაწერს — მანეთს მისცემ,
ორ აბაზშიც — მანეთს!
ტაქსი, ალბათ, შეხედვაშიც
მანეთს მოგვთხოვს მალე!..

●

ვერ გასწვდება თვალი მის ბაღს,
ვერ ასწვდება თვალი მის ჭერს!
ვინც ის უნდა დაიჭიროს,
ნათლავს იმათ გოგო-ბიჭებს,
მონათლულის პატრონი კი
ნათლიმამას რას დაიჭერს?!
შენ არ იჭერ შენს ნათლიას? —
ადგება და სხვა დაიჭერს!..

თარგმნა ტია-ტიამ

ნაგებობანი, უმთავრესად, გადახურულია თუნუქით, რაც სადასა და ჰაეროვანს ხდის მათ ხედს თვითმფრინავიდან. შენობის შინაგანი სივრცის მხატვრული გაფორმებისას იგრძნობა ფერთა სიჭარბე. არქიტექტორის აქცენტი მაინც გადატანილია შენობის ფასადის გაფორმებაზე. დიდი ყურადღება ექცევა ორნამენტული შემკულობის განაწილებას ახალ-ახალ მხატვრულ პრინციპებზე. დაცულია საძილე ოთახის შინაგანი სივრცის ინტიმური ხასიათი.

ნაგებობანი შემოსაზღვრულია დახშული გალავნით, რომელთა სიგანე ზოგჯერ ერთ მეტრს, ხოლო სიმაღლე ორ მეტრს აღემატება.

შენობათა კედლებზე შემორჩენილია საერო ფერწერის ძვირფასი ნიმუშები. მაგალითად, ერთ-ერთი ძეგლის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მუქთახორას პორტრეტი. ის მოცემულია კეთილშობილური ფერადოვანი გამით, რომელიც თავისუფალია ზედმეტი სიჭრელისაგან. უსაზღვროდ კმაყოფილი ღიპიანი კაცის თვალები მკაფიოდ მეტყველებენ მის უფლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ერთ-ერთ ნაგებობაზე დაცული საქმოსნის პორტრეტი. საქმოსანი

გამოსახულია ჩრდილში, ჭილოფზე ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში, მისი სახის ნაკვთები მიგვანიშნებენ საამო მოღლილობასა და განცხრომაზე. იქვე, ახლოს დგას მსუბუქი ავტომანქანა, რომლის მარცხენა, უკანა კარი ღიაა. საქმოსნის გამოხედვაში შერწყმულია უდარდელობა, თაღლითობა და გაიძვერობა.

უცნობი მხატვრის დიდ ოსტატობაზე მეტყველებს ფერწერული ტილო „მლიქვნელი“. პოზაში მდგომ კაცს თავი დაბლა დაუხრია. მის სახეს შიშნარევი ღიმილი დასთამაშებს.

ნაგებობათა სასადილო ოთა-

(დასასრული მე-6 გვ.)

ხებისათვის დამახასიათებელია შერჩევა თხრობითი კომპოზიციებისა, რომლებიც „გ ა ძ ღ ო მ ი ს“ ციკლს მიეკუთვნებიან. კომპოზიციების თავში დგას თამადა, ყანწით ხელში. ერთგვარი სიმშვიდე ახასიათებს თამადის მხატვრული ფორმით გადმოცემის მანერას. მიუხედავად დახვეწილი ოსტატობისა, მაინც იგრძნობა დაცემის ნიშნები.

ჟანრულ კომპოზიციათა რიცხვს ეკუთვნის ერთ-ერთი შენობის კედელზე შემორჩენილი ფერწერული ტილო „მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე“. პორტრეტი წარმოადგენს მოსამართლეს, რომელიც კითხულობს განაჩენს.

სასამართლო დარბაზის ინტერიერი დანერილია თავშეკავებული,ფერადი, სასიამოვნო გამით. თეთრფარდაჩამოფარებული ფანჯრიდან დარბაზში შემოღწეული დღის სინათლე აცოცხლებს მაგიდასთან მდგომი მოსამართლოს ფიგურას. ის ოდნავ განზე დგას ფანჯარასთან, რის გამოც თავი და პირისახის ნაწილი უფრო ძლიერადაა განათებული, ხოლო კომპოზიცია გამსჭვალულია პატიოსნების, კეთილსინდისიერების, კანონიერების დაცვის განწყობილებით.

ასევე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ერთ-ერთი შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე გამოხატული მ ს ჯ ა ვ რ დ ა დ ე ბ უ ლ ი ს წელში მოხრილი ფიგურა. კომპოზიციაში მწუხარე ახლობელთა ფიგურები ხელს აშველებენ მსჯავრდადებულს.

ჩვენ შევეცადეთ, ზოგადად წარმოგვედგინა ხუროთმოძღვრების ეს საინტერესო ნიმუშები. მათი ნამდვილი მეცნიერული ანალიზი ხელოვნებათმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი





კერძომესაკუთრენი

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— არ ჩაგდო, შვილო, შაური ხურდა მერგებგა!
— არც ვაპირებ, დედიჯან, ჩაგდებას!

ორი საჩივარი

საჩივარი № 1

მე, კ ა რ ლ ო ალექსანდრეს ძე კობერიძე, მწერალი, მცხოვრები თბილისში **(თემქის დასახლება, III მიკრორაიონი, I კვარტალი, მე-7 კორპუსი, ბინა 19)** ოფიციალურად ვუჩივი ქალაქის თბომეურნეობის უფროსსა და მისდამი დაქვემდებარებულ ხელქვეითებს მასზედ, რომ 1980 წლის 1 იანვრიდან, არ ვიცი, როდემდე ჟესისტემობის საბაბით, გამომირთეს გათბობის სისტემა რის გამოც ვერ გაუძლეს სიცივეს და გამექცა თორმეტი სტუმარი, ოთხი მეზობელი და ორი მოთხრობა, რომელთა დაწერა იმ დღეებში მქონდა განზრახული.

გთხოვთ, არ ჩამირთოთ გათბობა (იმედი მაქვს, ამას თხოვნის გარეშეც შემისრულებთ!) და დაუყოვნებლივ გადამიხადოთ ორი მოთხრობის ჰონორარი (საავტორო თაბახის ღირებულება ჟურნალში — 300 და წიგნშიაც 300 მანეთი, ე. ი. 300×4=1200 მან.). როგორც ორმხრივად დაზარალებულს, ამ თანხით მსურს შევიძინო „დუბლიონკა“ (რომელსაც, ალბათ, ვერც ვიშოვი!), მატყლის საბნები და სპირტქურა!

საჩივარი № 2

შარშან, 2-დ ა ნ 13 ნოემბრამდე, მივლინებული ვიყავი ბათუმში, სადაც ტარდებოდა საქართველოს ღია ჩემპიონატი ჭადრაკში მოსწავლეთა შორის, 13 ნოემბერს თბილისის მიმართულებით მატარებელი აღარ გავიდა. ავადმყოფ დედაჩემს რომ არ ენერვიულა, გავუგზავნე სასწრაფო დეპეშა, კარგად ვარ და თხუთმეტში ჩამოვალ-მეთქი. მართლაც ჩამოვედი, დედაჩემს კი დეპეშა არ ჰქონდა მიღებული. აღშფოთებული მივედი **ფოსტაში ბულაჩაურის ქუჩაზე (საფოსტო განყოფილება 42),** რომელიც ჩვენი სახლიდან ასოდე მეტრითაა დაშორებული. მომთხოვეს ქვითარი. გამოვიქეცი სახლში, ის იყო, ავიღე ქვითარი და... ფოსტალიონიც მოგვადგა კარებზე დეპეშით (როგორც ჩანს, უკან დამადევნეს!). ვთხოვე, დეპეშაზე აღენიშნა ჩაბარების თარიღი, მაგრამ მან დეპეშა შემოსასვლელში დააგდო და გაიქცა.

ფოსტაში კი, ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მაინც მოეხადათ, აქეთ გამამტყუნეს!..

ზოთა ინწკირველი

„საზოგადო მოღვაწე“

(ზოგადი ფელეტონი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის იგი თავის კაბინეტში ფეხმოუცვლელად და ზოგადკაცობრიული მზერით გასცქერის უზოგადეს სივრცეს. სახეზე ბუნების მშვენიერებით გამოწვეული ზოგადმხატვრული ღიმილი დასთამაშებს, რაიც მოწმობს, რომ არაამქვეყნიურ, ზოგად პრობლემებს დასტრიალებს ზოგადი ინფორმაციით გატენილ მის თავში მოფუსფუსე ობოლი აზრი.

სასტიკად სძულს ერთეული, კონკრეტული, კერძოობითი; აღმერთებს მრავალს, აბსტრაქტულს, ზოგადს. ეს იმიტომ, რომ მიუხედავად ფილოსოფოსთა მტკიცებისა, ერთეულსა და ზოგადს შორის ვერავითარი კავშირი ვერ აღმოაჩინა: „სადაც არის ერთეული, იქ არ არის მრავალი. თუ გვაქვს მრავალი, იქ ერთეულს რა უნდა!“) — ასეთი ლოგიკით მსჯელობს იგი, მით უმეტეს, რომ პრაქტიკულად დიდი ხანია დარწმუნდა — ერთ მანეთს ბევრი სჯობს, როგორც ზოგადი.

განათლებაც შესაფერისი — ზოგადი აქვს, ძალიან უყვარს წიგნებში წინასიტყვაობებისა და ბოლოთქმების კითხვა: რაც ზოგადია, აქ არის თავმოყრილი და დანარჩენი, კონკრეტული, სიღრმისეული, მე არ მეხებაო.

ცხოვრებაც ზოგადად უყვარს, ისე, პოლიტიკის გარეშე, ინდიფერენტულ-აბსტრაქტულად. იდეის სამსახური თავისუფლების ფრთების შეკვეცად, სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვად ეჩვენება; და არის ასე — ნეიტრალურ-ინერტულ-განზოგადებული, ერთი მომენტის გარდა: გიჟდება საზოგადო საკუთრებაზე, რომელსაც მრავალი უპირატესობა აქვს კერძოსთან შედარებით — სრულიად უმტკივნეულოდ შეგიძლია ისარგებლო მისი სი-

ნახ. ჯ. ლოლუასი

კეთითო. ამიტომ მის ხელყოფას არავის აპატიებს: საკუთარ ვრცელ სახლშია, საკუთარ მწვანეში ჩაფლულ აგარაკზე, თუ საკუთარ უახლესი მარკის მანქანაში, ვერ ისვენებს, სულ ბდღვირს ადენს კერძომესაკუთრული ინსტინქტებით გაჟღენთილ ანტიპოდებს!..

ზოგადს სხვა უპირატესობაც აქვს ერთეულთან, კერძოსთან, კონკრეტულთან შედარებით — იგი არაფერს გავალდებულებს. ისვრი ზოგად ფრაზებს, მკითხავივით ყველას სატკივარს მორგებულს, და ყველა კმაყოფილია. აბა, სცადე, კონკრეტულად ვინმეს შეეხე!

სამსახურში მოსწონთ მისი პოზიცია, ზოგადობა მასშტაბურობის ექვივალენტად ჩაუთვალეს, წვრილმანი კაცი არ არის, არ უყვარს ჩაძიებაო, და იერარქიის საფეხურები სულ ფხაჭაფხუჭით აარბენინეს. ახლა რაღა შეაცვლევინებს თავის კრედოს? — ზოგად საქმიანობაში ჩაეფლო.

— ამ ფაქტს რა ვუყოთ, პატივცემულო? — ჰკითხეს ზოგად ფიქრებში წასულ უფროსს.

— ზოგად ასპექტში განიხილეთ! — იყო პასუხი.

— დეტალურად აღვწეროთ პროცესი?

— ზოგადად დაახასიათეთ!

— უხეში შეცდომა რომაა დაშვებული?

— ზოგადად მიუთითეთ!

კვარტალურ ანგარიშსაც ზოგადად ადგენს, არ იწუხებს თავს რაღაც ფაქტებით, ციფრებით, მაგალითებით, რაიც მხოლოდ ფანტაზიის დასამუხრუჭებლად გამოუგონებიათ. გეგმის შესრულების მნიშვნელობის ზოგადად განმარტების შემდეგ, საწარმოს მუშაობის კონკრეტული ანალიზის ნაცვლად, პირდაპირ ზოგად დასკვნებზე გადადის.

— კი, მაგრამ, გეგმა რომ ზოგმა შეასრულა და ზოგმა ვერა, ეს მაინც გეთქვათ, დაგესახელებინათ? — კითხულობს ვიღაც.

— რას შეცვლიდა მერე ეგ? — კითხვასვე უბრუნებს იგი, — ვთქვათ, დავწვრილმანდი და დავასახელე ზოგიერთი, ყველას ხომ ვერ გავწვდები მაინც და არ სჯობია ისევ ასე, ზოგადად?!

და ტრიალებს საზოგადოებაშიც ასე ზოგადად, დიდ სიამოვნებას გვრის ზოგად აქსიომატურ ჭეშმარიტებათა სტერეოტიპული ვარირება და სხვათა მსჯელობების არბიტრაჟული შეჯამება-განზოგადება. სამაგიეროდ, არც ზოგიერთები რჩებიან ვალში ასეთი ზოგადი თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებას და ხშირად გაიგონებთ მისი მისამართით — **დიდი საზოგადო მოღვაწეაო!...**

ირაკლი ყიფშიანი

ასე ეკერგეგა ინფორმაცია

ანტონ მიტოშინკა
(ჩეხოსლოვაკია)

დირექტორი — თავის მოადგილეს:

— ხვალ, ცხრა საათზე, მზე დაბნელდება, რაც ყოველდღე როდი ხდება. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, ჩვენმა მუშებმაც იხილონ ბუნების ეს იშვიათი მოვლენა. ამიტომ ხვალ, დაე, ყველა გამოვიდეს ეზოში პირდაპირ სამუშაო ტანსაცმლით! ამ უიშვიათესი მოვლენის დაკვირვების დროს მე სათანადო მოხსენებას წავიკითხავ. თუ წვიმა იქნა და არაფერი გამოჩნდა, ლექცია სასადილოში გაიმართება.

დირექტორის მოადგილე — საამქროს უფროსს:

— დირექტორის მითითებით, ხვალ, ცხრა საათზე, მზე დაბნელდება. თუ იწვიმა, სამუშაო ტანსაცმლით მისი ნახვა შეუძლებელი იქნება. ამ შემთხვევაში მზის დაბნელება სასადილოში მოხდება, რისი ნახვაც, რასაკვირველია, ყოველდღე როდია შესაძლებელი.

საამქროს უფროსი—ცვლის უფროსს:

— დირექტორის განკარგულებით, ხვალ, ცხრა საათზე, სამუშაო ტანსაცმელში დაბნელდება მზე. დირექტორმა ბრძანა აგრეთვე, რომ ამ დროს წამოვიდეს წვიმა, რასაც იგი ყოველდღე ვერ ხედავს ხოლმე.

ცვლის უფროსი — ბრიგადირს:

— თუ ხვალ სასადილოში წვიმა წამოვიდა, რაც ყოველდღე როდი ხდება, ცხრა საათისათვის გაქრება სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩვენი დირექტორი.

ბრიგადირი — მუშებს:

ხვალ, ცხრა საათისათვის, გაქრება ჩვენი დირექტორი. სამწუხაროდ, ასეთი რამ ყოველდღე როდი ხდება!..

134
3.III
80

ამერიკის შეერთებული შტატები გაძლიერებული ტემპებით განაგრძობენ დაშინებისა და კუნთების დემონსტრაციის პოლიტიკას მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში.

პრემიერ-მინისტრის მდივნოგა ადვილი არ არის!

ნახადილევს იაპონიის პრემიერ-მინისტრმა თავისი მდივანი, მშვენიერი იაკიმა, იხმო და სიგარეტის მოტანა უბრძანა.

დავალება ადვილი და ნაცნობი იყო, ქალიშვილი მაშინვე გაეშურა პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის პირდაპირ მდებარე მაღაზიაში, სადაც მთავრობის წევრები, ჩვეულებრივ, თამბაქოს ყიდულობდნენ.

იაკიმა რამდენიმე წუთში დაბრუნდა და ქაღალდებში თავჩარგულ პრემიერს სიგარეტის კოლოფი მაგიდაზე დაუდო, პრემიერმა ირიბად ამოხედა სიგარეტის კოლოფს და თავი გააქნია.

— გმადლობთ, არ ვეწევი!

— როგორ?! განა თქვენ არ მიბრძანეთ სიგარეტის მოტანა, სან?! — გაკვირვებული შეეკითხა იაკიმა.

— მე გიბრძანეთ?! შეუძლებელია! მე სიგარეტს არასოდეს ვეწეოდი! — თქვა პრემიერმა და კვლავ ქაღალდებს დაუბრუნდა.

— მაშ, განა ეს თქვენ არ მოსწეთ?! — არ მოეშვა მდივანი და სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლეზე მიუთითა.

— აა, — თავი ასწია პრემიერ-მინისტრმა, — ეს, ალბათ, ტანაკა-სანის ნამუშევარია! — თქვა მან ღიმილით — იგი ხომ გადადგა!

გაოგნებული იაკიმა ახლაღა მიხვდა, რომ პრემიერ-მინისტრის სავარძელში, ტანაკა-სანის ნაცვლად, სხვა კაცი იჯდა.

— ტანაკა-სანი გადადგა, რადგან მისი მთავრობის წევრები ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს. — პრემიერ-მინისტრად მე ვარ დანიშნული! — განუმარტა ახალმა პრემიერ-მინისტრმა, როცა იაკიმას გაოცებულ სახეს შეავლო თვალი.

— მაგრამ ეს თქვენთვის არაფერს არ ნიშნავს, — ღიმილით დაუმატა ახალმა პრემიერმა, — თქვენ ჩემთან იმსახურებთ! ახლა კი ერთი ფინჯანი ყავა მომიტანეთ!

ბედს შერიგებული იაკიმა დავალების შესასრულებლად წავიდა.

იგი ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა და პრემიერ-მინისტრს ყავის ფინჯანი ღიმილით დაუდგა მაგიდაზე, პრემიერმა ფინჯანი ხელით გასწია გვერდზე ისე, რომ ქაღალდებიდან თავი არ აუწევია.

— გმადლობთ, ახლახან დავლიე! — თქვა მან უკმაყოფილოდ და თვალებით აგრძნობინა, ხელს ტყუილუბრალოდ ნუ მიშლითო.

— როგორ, თქვენ არ მიბრძანეთ ყავის მოტანა, სან?! — გაოცდა ქალიშვილი.

— მე გიბრძანეთ?! რას ამბობთ?! მე თქვენ ჯერ თვალითაც არ მინახავხართ! — პრემიერმა თავი ასწია და იაკიმა ყურადღებით შეათვალიერა.

მდივანი გაოგნებული შეჰყურებდა მამაკაცს, რომელიც მართლა არასოდეს ენახა.

პრემიერ-მინისტრმა ერთხანს უყურა ქალიშვილის დბნეულ სახეს, უცებ ყველაფერს მიხვდა და ახარხარდა!..

— აა, გასაგებია! თქვენ, ალბათ, ფოკუდა-სანმა გთხოვათ ყავის მოტანა! ის ხომ გადადგა!

— გადადგა?! — უფრო გაოგნდა მდივანი.

— დიახ, აღმოჩნდა, რომ ქრთამს იღებდა ამერიკელებისაგან, როცა პარლამენტის დეპუტატი იყო! პრემიერ-მინისტრად მე ვარ დანიშნული! — უკვე ხაქმიანი ტონით დაუმატა ახალმა პრემიერმა.

ხალამოს, იაკიმას დაქანცულ სახეს რომ შეავლო თვალი, ვაუმა, რომელსაც იგი ერთ თვეში ცოლად უნდა გაჰყოლოდა, თანაგრძნობით ჰკითხა:

— ძნელია პრემიერ-მინისტრის მდივნობა?

— ადვილი როდია, — მიუგო ქალიშვილმა, — მით უმეტეს, თუ არ იცი, მორიგი დავალებიდან დაბრუნებულს, ვინ დაგხვდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხავარძელში!

ჯორჯი

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. შირცალავა, ო. ჭელიძე
● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი ● საბირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 8/I 80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/II 80 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 27. УЭ 00628 ტირ. 160.100. Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.